№ 77

პარასკევი, 14 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 77

პარასკევი, 14 აპრილი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 5 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერ[illegible] ერთი შაური.

„ივერიის“ ტელ[illegible]ნი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**თავადი რაფ[ი]ლ დავითის ძე ერისთავი შვილებითურთ** აუწყებს-რა ნათესავთ[და] ნაცნობთ გარდაცვალებასა დისა თვისისა **კნეინა ბარბარე ჯ[ორ]ჯაძისას**, რომელიც ქ. თელავში მიიცვალა, სთხოვს მობრძანდნენ [ქაშ]ვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ქ. ტფილისს, სადაც გარდახდ[ილ]ი იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებ[ლა]დ შაბათს, 15 აპრილს, დილის 11 საათზედ.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ[ი]ს საზოგადოების“ სასარგებლოდ **დანიშნულ[ი]ა 7 მაისს.**

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივ[თ]ებ[ი] ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ[ეინა] ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვკისრულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—7)

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციით გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ. (10—6.—10)

**ქართული თეატრი**

საქველ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის გადაიდო

ოთხშაბათისათვის 19 აპრილს.

წარმოდგენილი იქნება

**დანაშაული და სასჯელი**

დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჯიჯინაძისა** და **ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს იღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

## † ნეკროლოგი.

გუშინ-წინ თელავიდგან მივიღეთ სამწუხარო დეპეშა, რომლითაც გვატყობინებენ, რომ 11 ამ თვესა ორშაბათს აპრილს გარდაცვლილა ქართველი მწერალი ქალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

განსვენებული ბარბარე ჯორჯაძისა არის ასული დავით ერისთავისა და და ჩვენის მხცოვანის პოეტის რაფიელ ერისთავისა. დაიბადა იგი ზედმიწევნით 1833,—34 წ., სწავლა მიუღია შინ, კარგად იცოდა სღმრთო წერილი, „ვეფხის ტყაოსნის თითქმის ზეპირად და საზოგადოდ ძველი მწიგნობრობა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. სამოციან წლებიდგან მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძისა დღემდის სწერდა და ცნობილია თვისის წმინდა ქართულ ენით, რომელიც თითქმის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს ამ მწერლისას.

დაიწყო წერა პირველად ჟურნალს „ცისკარში“ 1858 წ. და ამის შემდეგ თითქმის ყველა ქართულს ჟურნალებში იღებდა მონაწილეობას. განსვენებული ბარბარე ჯორჯაძისა სწერდა ლექსებს, მოთხრობებს და დრამატიულს პიესებს. ცნობილია მისი დრამა „შური“ და კომედია „რა დავკარგე, რა ვიპოვნე,“ რომლებიც ნათამაშევია უკვე ქართულს სცენაზედ. გარდა ამისა ამ ბოლო დროს განსვენებულს გამოუგზავნია დრამა „მშვენიერი კეკელა,“ რომელიც ამ ჟამად განსვენებულის ძმას რაფიელ ერისთავსა აქვს. ეჭვი არ არის, დაბეჭდილ თხზულებათა გარდა სხვებიც ექნება და სასურველია არ დაიკარგოს.

განსვენებულს დარჩა ორი შვილი, ერთი ვაჟი და ერთი ქალი. ვაჟი მიხეილი ამ ჟამად ლენქორანის მაზრის უფროსის თანაშემწედ არის და ქალი გათხოვილია, რომელსაც კარგი და ნიჭიერი შვილები თურმე ჰყავს. ერთი შვილი გათხოვილის ქალისა ეხლა გაათავებს უმაღლესს სასწავლებელს და უმცროსი ძმა ამისი ამავე წელს წავა უნივერსიტეტში.

თელავში განსვენებული თვისს რძალთან ერთად სცხოვრობდა და, როგორც ეხსომებათ „ივერიის“ მკითხველებს, ბოლო დროს იგი ავად იყო, რომლისაგანაც ვეღარ მორჩა. საზოგადოდ კნ. ბარბარე ჯორჯაძისა ცნობილი მწერალი ქალი იყო და ნამდვილი წმინდა ქართული ენა ყველა მისს ნაწერში გამოსჭვრეტდა. გარდა წინად არსებულ ჟურნალ-გაზეთებისა განსვენებულის ზოგიერთი მოთხრობები გაზეთ „ივერიაშიც“ იყო დაბეჭდილი, მაგ. ლეკების შემოსევა კახეთში ამ საუკუნეში. თუმცა სწავლა არსად მიუღია, მაინც იგი მუდამ ყურადღებით ადევნებდა თურმე თვალს ჩვენს მწერლობას. და როგორც დაახლოვებულთა თქმულება ამტკიცებს, განსვენებულს მუდამ დიდი სურვილი ჰქონია, ამ ბოლო დროსაც-კი, შრომისა და თუ ხელს უშლიდა თურმე, ეს ზოგიერთა უსიამოვნო გარემოება ოჯახურ ცხოვრებიდგან.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო მამულისა და ენის მოყვარე მწერალო ქალო, ბარბარე!

## ახალი ამბავი

—

*** „ნოვ. ობოზრ“.-ს შეუტყვია, რომ ტფილისის გუბერნატორს ნება დაურთავს თავად-აზნაურთა საგანგებო კრების მოწვევისა. კრებამ უნდა განიხილოს ბანკის ქარვასლის შეძენის საქმე და სხვა წვრილმანი საქმეები.

*** ტფილისის ოლქის თავმჯდომარე ბ. ბიკოვი გორში და დუშეთში გაემგზავრა მომრიგებელ სასამართლოთა სარევიზიოთ.

*** 2 აპრილს ქრისტეს აღდგომას სოფელს ალში (გორის მაზრა) წმიდა თომა მოციქულის ეკკლესიაში იგალობეს გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებმა, რის გამოც ხალხი აღტაცებაში მოვიდა, სიხარულით ადიდებდნენ ღმერთსა და ლოცავდნენ ამ მოსწავლეებს.

*** გაზ. „ტფ. ლისტ.“-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან 12 აპრილს. ხვალ ხარჯთ-აღრიცხვის სამინისტრო დეპარტამენტში მოხდება სხდომა შესახებ ნავთის გადასატან-გადმოსატანის ბაქოსა ბაქოსა და ბათუმს შუა. უეჭველია, ბაჟი აიწევს.

*** ბაქო: 12 აპრილს მე 794 ვერსზედ იპოვნეს ხანჯლით მოკლული კაცი. მოკლულის ვინაობა არ იციან; როგორც გარეგნობა ამტკიცებს თათარი უნდა იყოს.

*** ყარაიაზი: 11 აპრილს, ღამის 9 საათზედ, მე-335 ვერსზედ რკინის გზის დარაჯს შეუცვივდნენ ვიღაც შეიარაღებული ავაზაკები. მაშინათვე თვალი აუკრეს, თოკით შეჰკრეს და, რაც ებადა, სულ წაართვეს.

*** ოზურგეთი: საზარელს მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნულნი აქაურის მეპურეებისაგან. პურის გამოცხობა და გაყიდვა ხელობად გაუხდია, ვისაც არა მკონია, რის გამოც ვყიდულობთ და ვსჭამთ პურს-კი არა, რაღაც პურის მსგავსს. იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს, ვისაც ჯერ არს.

## კორესპონდენცია.

—

**მცხეთა.** როგორც შევიტყეთ, ტფილისში შესდგება თურმე განსა-

## ფელეტონი

### მიხა დალაქი.

ეს ორი სიტყვა უერთმანეთოდ ვერ წარმოედგინათ ს. წიოდას მცხოვრებლებს: მიხა უდალაქოდ და დალაქი უმიხაოდ, სრულებით ვერ გამოსახავდა იმ პაწაწკინტელა არსებას, რომელიც ს. წიოდას დალაქი იყო; ეს იმიტომ, რომ ამ სოფელში მიხას სხვასაც ეძახოდნენ. მაგრამ მათში დალაქი გარდა მიხა-დალაქისა-კი არავინ არ იყო. და თუ ოდესმე მოგიხდებოდათ წიოდელთან ამ მიხაზედ ლაპარაკი, უეჭველად მიხასთვის დალაქიც უნდა დაგერთოთ, თუ არ გინდოდათ თქვენი ლაპარაკი გაუგებარი ყოფილიყო.

მაშინ, და მხოლოდ მაშინ დაასურათ-ხატებდით წიოდელის წინ, როგორც წინად მოგახსენეთ ამ პატარა ერთი მუჭა არსებას, მისის პატარა თავ-პირით, ჩაცვივნულის ლოყებით, მარცხენა თვალის ზევითა უწაწამო დახორცმეტებულ ქუთუთოთი და მარჯვენა თვალით, რომლითაც მიხა თითქოს ყოველთვის ვიღაცას დასცინოდა, პაჭუა ცხვირით, მუდამ დაწკეპილ ულვაშებით, მარადის გაპარსულ ნიკაპით, ტანთან შეხამებულ მხრებით, რომელნიც მუდამ უკან გადაზნექილი ეჭირა, რათა გმირული გამომეტყველება ჰქონოდა. დიაღ, მხოლოდ მაშინ, მიჰხვდებოდა წიოდელი გლეხი, რომ თქვენ ელაპარაკებით იმ მიხა დალაქზედ რომელიც პრტყელის თასმით ქამარზედ ჩამოკიდებულის ჩანთა-მანთით, ბეჯითად ამოსხმულის ქალამნებით, შავ ახალუხში კოპწიად გამოწყობილი დაიარებოდა.

დაიარება ვამბობ, მაგრამ ტარება ათას ნაირია: დაიარება ისე-კი არა, როგორც ყოველი უბრალო მომაკვდავი წიოდელი, სრულებითაც არა! დაიარება ისე, როგორც მიხა დალაქს შეჰფერის, მარცხენა ხელით ჩანთაზედ დოინჯი გაუკეთებია, მარჯვენათი ულვაშებს ისუფთავებს, თავი მაღლა უჭირავს, მხრები უკან გადაუშვია და მიდის დარბაისლურის ნაბიჯით თავ-მომწონეთ. მიტომ რად არ უნდა მოსწონდეს თავი? უბრალო ვინმე-კი არ გეგონოთ მიხა! ის წიოდელებისთვის დალაქიც არის და ექიმიც, ბატონიცა და პატრონიც, ყმაცა და მბრძანებელიც. უნდა ნახოთ, მკითხველო, თქვენის ბედნიერის თვალით მიხა დალაქი ზაფხულობით, როდესაც მთელი წიოდა კალოებზეა გასული და შინ გარდა უძლურ ბებრებისა და ახალის პატარძლებისა აღარავინ დარჩომილა. უნდა ნახოთ და მაშინ თქვენც დამეთანხმებით, რომ მართლა მიხა დალაქი ყმაც არის და მბრძანებელიც მთელის სოფლისა. ეს სხვა დროს დინჯად, დარბაისლურად მოსიარულე კაცი ამ დროს სწორედ ცეცხლია! ტრიალებს, როგორც ჯარა, ვადასდის ხვითქი, მაგრამ მაინც დარბის და ხუსხუსებს. იქ პატარძალს ჯორს უკაზმავს წყალზედ წასასვლელად, აქ ბებრუხანას, ისედაც სისხლ-გამოფიტულს ნეკის სისხლს ართმევს, იქ ბაღჩაში ბალახს უთიბამთ, აქ საფქვავს ატანენ წისქვილში და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ, ერთის სიტყვით ოფლში სცურავს. სამაგიეროდ დიდი უფლებებიცა აქვს ჩვენს მიხა დალაქს მინიჭებული. საცა შევა, ისე განაგებს ამ სახლის თარო-ვარცელს, როგორც თავისს საკუთრებას. ვენახბოსტნებში ისე დადის, თითქო მისის მამის ნაფუძვარი იყოს. ნეტა არ უნდა ხმა გასცეს ვინმემ? აგერ ინათა და მიხაც გამოჭიმულია დოინჯით მაღლა სერზედ, იქიდგან დასცქერის თავისს სამფლობელოს და ელოდება: აბა, საითაც დამიძახებენ, იქით მივაშუროო. ისე ბრჭყვიალებს ამ სერიდგან მიხას გვერდზედ ჩამოკიდებული ყბა ამოჭრილი ტაშტი, რომ კაცს მეორე მზე ეგონებოდა, მხოლოდ ჩრდილოეთიდგან ამოსული. პატარძლებმაც იციან ჩვეულებრივი მიხას სამეველო კოშკი და დიდხანს არ ალოდინებენ. მიიდებენ შუბლზედ ხელს და ეძახიან: „მამამთილოოო! აქ ჩამობრძანდი, წუხელის ვირი მგელმა დაგვიგლიჯა და უწამლე რამე“. „ვაი, შენ ჩემო თავო“, წაიბუტბუტებს მიხა და ერთს წუთს დანიშნულს ადგილს გაჩნდება. გადმოალაგებს თავისს ჩინთა-მანთას, ამოშლის ჯიბიდგან საათფთიაქოს და მერე წყნარად, თითქოს „საიდუმლოს ასრულებსო“, შეუდგება ოპერაციას. თან უჯავრდება, რატომ არ დამიძახეთ მგელი რომ მოგივარდათ, ერთი მეტაცნა იმისთვის ყურებში ხელიო. მაგრამ იმისთანა ბედნიერი წუთები, იმისთანა შემთხვევა მთელის თავისის დიდების გასაშლელად, როგორიც მანდილოსანთა ბელადობაა (თვით მიხა ასე ეძახდა), სხვა არა იყო-რა მიას სიცოცხლეში; ის-კი არ გეგონოთ, ვითომც მიხა დალაქი მუქარის თითით, ან ამოღებულის ხმით მიუძღოდა მანდილოსანთ მომდგარ მტერზედ რისხვის დასაცემად. არა... ისმედიდურად, დარბაისლურის ნაბიჯით მიუძღვებოდა იღლიაში ბოღჩა ამოჩ-

კუთრებული კომისია, რომელმაც საფუძვლიანად უნდა შეაკეთოს მცხეთის ტაძარი.

ამ ტაძრის შეკეთების საჭიროება „ივერიის“ კორესპონდენტმა თავისს დროზედ გააცნო მკითხველებს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ჩემის მხრით დავსძინო უმთავრესი საყურადღებო საგანი, რომელიც აუცილებლად საჭიროა ამ საქმეში, როგორც კომისიისა, ისეც იმ ხუროთ-მოძღვართათვის, რომელნიც იკისრებენ ტაძრის შეკეთებას.

1889 წელს, როდესაც განსვენებული ხელმწიფე და დედოფალი ჩვენს ქვეყანაში მობრძანდნენ, მაშინ მცხეთის ტაძარიც ვითომ შეაკეთეს, შეალამაზეს, მაგრამ გულის ტკივილით უნდა შევნიშნოთ მაშინდელს გამგეს ამ ტაძრის შეკეთებისას, რომ არა თუ გაამშვენიერეს იგი, არამედ სრულიად დაამახინჯეს: კედლები, რომელიც ჩინებულის ხელოვნებით იყო დახატული, რომელიც თვალწინ დაგვიყენებდა ჩვენს შესანიშნავს ღვაწლით შემოსილს წმიდანებს, მეფეთ, დედოფალთ და მამულისთვის თავ-განწირულ გმირთ,— ყოველი ეს კირით შეფიფქეს და თითქმის სრულიად აღხოცეს კვალი ამ ძვირფას მხატვრობათა. მხოლოდ რამდენსამე ადგილს თუ-და ატყვია (ეჭვს გარეშეა, სიმაღლის გამო ხელი ვერ აუწვდინეს, ან ვერ მოასწრეს).

ამ ტაძრის საფუძვლიანად შეკეთება უთუოდ საჭიროა, მაგრამ, სასურველია, სიფრთხილით მოეკიდოს კომისია ამ დიდებულის ნაშთის შეკეთებას, რომ კიდევ უფრო არ შესცვალოს ის ძველებური სახე, რომელიც ჩვენ წინა-პართა, ხუროთ-მოძღვართა და მხატვართა ქება-დიდებისა და შესანიშნავ ხელოვნების დამახასიათებელია.

შთენილი.

—

**ს. სტეფანწმინდა,** (დუშეთის მაზრა). მოხევეები მოკლებულნი არიან ქართულს გავლენას და უფრო რუსულს ზნე-ჩვეულებას და ენას ითვისებენ. ამ გვარს მოვლენას ხელს უწყობს გარეგნობა, მაგ. კავკავის სიახლოვე, სამხედრო გზის სადგურები, სადაც მომეტებული ნაწილი მოხელეებისა რუსები არიან და სადაც მრავალი მოხევე „იამშჩიკისა“ და სხვა თანამდებობას ასრულებს. თვით მწყემსობაც: მწყემსი ყოველ შემოდგომაზედ მიდის ხევიდგან ყიზლიარამდის და მთელს ზამთარს იქ ატარებს, ამ დროს მას გარშემო სულ რუსები ახვევიან. აბა დაუგდე მოხევეს ქართულს ყური: „თუ ნადეოჟნი ვინმე იქნება“, „როცა“ სვაბოდნი ვქნები, მე ჩემ ატვეტს მივცემ, „სოვსემ“, სპორი, უჟე, ნეუჟელი, როგოჟა, შილოვკა“, ერთი სიტყვით ქართული ლაპარაკი ისეა აჭრელებული, რომ ძნელად გამოიგნობთ, რომელი სჭარბობს, ქართული, თუ რუსული.

ამას გარდა შეძლებული მოხევე თავისს შვილებს ჰზრდის კავკავის სასწავლებელში, სადაც სამშობლო ენას მოკლებულნი არიან ბავშვები, (გარ და ქართული სკოლისა) ამ გვარი ბავშვები როდესაც ცხოვრებაში გამოდიან, ქართულს წერა-კითხვას და ლაპარაკს ვერ ახერხებენ. ესენი უფრო რუსულად ლაპარაკობენ და რუსულის ზღაპრებითა და ,,ბილინებით'' ირთობენ თავს. რასაკვირველია, მე რუსულის ცოდნაში და კითხვაში მავნებელს არაფერს ვხედავ, მხოლოდ მე ის მინდა ვსთქვა, რომ ქართული ავიწყდებათ. თუ არ ავიწყდებათ, უეჭველად ამახინჯებენ მაინც და ხომ მოგეხსენებათ: „რა ენა წახდეს— ერიც დაეცეს“. აი მაგ. ვინ იფიქრებს, რომ კიზილკოვი ქართველის გვარია კაზალიკაშვილისაგან-კი არის გადამახინჯებული, ან კუშაევ— ქუშაშვილისაგან, ვალიოვ-ვალიაშვილისაგან, ალიბეკოვ-ალიბეგაშვილისაგან და მრ. სხვა, ან სახელები, ავიღოთ: ვანკა, ვანიუხა, ვანია, კუზმა, ალიოშა, მიტკა, მიშა, ანდრეი-კუზმიჩი და სხ. თუ დროით არ მიექცა ამ მოვლენას ყურადღება, შესაძლებელია ხევი სულ მთლად გადამახინჯდეს ამისათვის განვიზრახეთ ს. სტეფანწმიდაში დავაარსოთ წიგნთ-საცავი ხევისათვის. წიგნთ-საცავი დაარსებული იქმნება ალ. ყაზბეგის სახელობაზედ. მივმართავთ ალ. ყაზბეგის პატივის მცემლებს და ვსთხოვთ, მოგვეხმარნენ იმ ხალხის სასარგებლო საქმეში, რომელი ხალხისადმიც ჰქონდა მიქცეული მთელი თავისი ყურადღება განსვენებულს და რომელსაც შესწირა თავისი არსება. მგონი ჩვენც იმისათვის ვსცემთ პატივს განსვენებულს, რომ მას ისე ძლიერ უყვარდა ეს ერი, რომლისათვისაც ქართველს საზოგადოებას ვსთხოვთ შემწეობას. კერძოდ მივმართავთ ქართულ წიგნების გამომცემლებს და ,,ქართველს ამხანაგობას'' შეგვეწიონ რამდენიმე ცალი წიგნით.

თითონ მოხევეები ძალიან ხალისიანები არიან და ეტანებიან წიგნს, ასე რომ რამდენიმე ცალი წიგნი გვაქვს და თითქმის იტაცებენ. გარდა ამისა მით უფრო საჭიროა აქ ქართულის წიგნების ქონა, რომ აქ არსებობს სამ-წლიანი სკოლა, საიდგანაც ამ წელს გამოვა რამდენიმე ყმაწვილი და თუ ამათ წიგნები არ ექმნა სახელ მძღვანელოდ სკოლის შრომა ამაოდ ჩაივლის და ეს ყმაწვილებიც იმ ყმაწვილ-ბიჭების ბრბოს შეუერთდებიან, რომელნიც მუდამ დუქნებისა, ან ყაზბეგის სადგურის მახლობლად მთელი დღე ან კოჭაობენ, ან არა-და ლანძღვა-გინებით შეზავებულს „რეშკა“ „არიოლს“ გაიძახიან.

ადრესი. საქართველოს სამხედრო გზის სადგური ყაზბეგი, მასწავლებელს გიორგი ნათაძეს.

გ. ნათაძე.

—

**ს. მეჯვრისხევი.** სწორედ განიორწყლებულნი ვართ აქაურის ქურდებისაგან. თითქმის ერთი ოჯახი არ იქნება, რომ ორჯელ, სამჯერ არ გაექურდნოთ, მაგალითად მე, ქვემორე ამისა ხელის-მომწერელი. ამ სამის წლის განმავლობაში ოთხჯერ გამქურდეს და თუმცა ძალიან დიდი ქონება არა მაქვს, მაგრამ ორმოცი თუმნის ზარალი მაინც მომცეს. ამის გამო თუმცა თავ-თავის დროზედ ვატყობინებდი ხოლმე ბბ. ადგილობრივ ბოქაულს და მამასახლისს, მაგრამ ისინი ყურს არ იბერტყდნენ და დღევანდლამდის არავითარი საშუალება არ უხმარნიათ ქურდების აღმოსაჩენად.

ჩემს გარდა გაჰქურდეს კიდევ ტარიელ კონსტანტინეს ძე ჯავროვი და ოცის თუმნის ზარალი მისცეს. ახლა ვინ მოსთვლის რამდენი წვრილმანი ქურდობა ხდება. მართალია წარსულის წლის „ივერიის“ ერთს №-ში ბ-ნი ბოქაული აცხადებდა, რომ კითომც ჩემ მიერ დაკარგული ხარები უკვე მეპოვნოს, მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც არამც თუ არ ამოჩენილან დაკარგული ხარები, ამოჩენის იმედიც არა მაქვს, მით უმეტეს რომ ბოქაული და მამასახლისი ამისთვის არა სცდილობენ. გარდა ამისა მთავრობის განკარგულებით ჩვენს სოფელში დარაჯები უნდა იყვნენ ხოლმე დაყენებულნი, მაგრამ ეს განკარგულება მტკიცედ არა სრულდება. დასამტკიცებლად ჩემის სიტყვებისა მოგახსენებთ, რომ ჩემი გამქურდავები უკვე აღმოჩენილნი არიან, (შარშან წვრილფეხი მომპარეს) მაგრამ დღესაც თავისუფლად დაბრძანდებიან... ერთის სიტყვით არა საბოქაულოში არ იქნება იმდენი ავაზაკობა, როგორც ჩვენს საბოქაულოშია. ნუ-თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამ უწესოებას?

არჩილ ივანეს ძე ლოლაძე.

## საკვირველი მოყვარე.

უკუღმართსა ჩემთვის დღესა
დამიმოყვრდა ვინმე ერთი:
საოცარის ხასიათის პატრონია,
თუ მწამს ღმერთი!
მე რომ ვსტირი—ის იცინის,
მე ვიცინი—იგი სტირის,
თუ ავად ვარ, მხიარულებს
ქეიფობს და ურას ყვირის!
ამ ბოლო დროს სულ გაპრიყვდა,
დამონება დამიპირა,
„რაც გიბრძანო დამჯერდიო“,
ბატონურად დამიყვირა!..
მაშინ მივხვდი მის სიკეთეს,
მის ძმობას და მეგობრობას,—
დღეის შემდეგ თქვენს წინაშე,
თავს ვანებებ მის მოყვრობას.
და შენც თუ გყავს, ჩემო ვასო!
ამ ნაირი მეგობარი,
გირჩევ, დროზედ მოიშორო,
დაუკეტო მაგრა კარი.

ივლ. მგელაძე.

## რუსეთის ცხოვრება.

—

შარშან დაღუპულის გემის „ვლადიმირის“ საძებნელად კვლავ სდგება კამპანია ოდესაში, ეს კამპანია დიდს იმედს იძლევა. საძებნელად გაემგზავრებიან თორმეტს აპრილს. ამ დრომდის-კი ოდესაში მოელიან ,,ნავოსანთა კომისიას'' წყლის ქვეშ მატარებელ მანქანის გასასინჯად. თუ დაღუპული გემი იპოვნეს, ყოველი რაც-კი მაზედ აღმოჩნდება, ექსპედიციის საკუთრებად უნდა ჩაირიცხოს.

—

ამ უკანასკნელს ხუთს წელში რუსეთში თითქმის არ სჭრიდნენ არ ოქროსა და არც ვერცხლის ფულ

რაც ვერცხლი შემოდიოდა, სახელმწიფო ბანკში ინახებოდა. ახლა პეტერბურგის ფულის მომჭრელს სახლეში განუზრახავთ მოსჭრან ვერცხლის ფული და აგრეთვე სწადიათ იყიდონ ვერცხლი მოსაჭრელად მანეთიანებისა, ათშაურიანებისა და ხუთშაურიანებისათვის.

განუზრახავთ სამის წლის განმავლობაში მოსჭრან ექვსი მილიონი ფული, მომეტებული ნაწილი ოქროს თუმნიანებისა: მაგრამ ეს ფული იმდენად არ არის ხმარებაში, რამდენადაც ნახევარ თუმნიანები; ამ ფულს იმთავე ფასი ექმნება, როგორც დასავლეთ ევროპაში.

## ა ჭ ა რ ა

(შემდეგი *)

39, კვაროღლი. 30 კომლი. ძველად კაკაშვილები. უმეტესი ნაწილი ამ გვარის ხალხნი ყოფილან აქ მცხოვრებლად. აქედგან რამდენიმე კაცი წავიდა მუჰაჯირად. კაკაშვილები საქართველოდგან მოსულან.

40, ძენწმანი. 37 კომლი. გადასახლდა 3 კომლი. აქ ამას წინად ბ-ნმა აბდულ ეფენდი მიქელაძემ ერთი სპილენძის გულ-საკიდი იპოვნა, რომელიც წერა-კითხვის სამმართველოს შესწირა. აქ ძველი ნაეკლესიარი არის, აქა სცხოვრობს ბ-ნი აბ. მიქელაძე, რომელიც ქართულის ანბანის გავრცელებისათვის ჯეროვნად მეცადინეობს. ამ სოფელშიაც გავრცელდა ქართული წერა-კითხვა. იმედია, უფრო გავრცელდება აქ მცხოვრებ საპატიო ქართველ მაჰმადიანთა მეოხებით, რომელთაც ხალხისთვის გული შესტკივათ.

41, გორჩომხეთი. 22 კომლი. გადასახლდა 15 კომლი. არის ძველი ჯამე.

42, ორთა-ხოხნა. 26 კომლი. გადასახლდა 15 კომლი. ეს ორი სოფლის ხალხი გადასახლებისთვის შეგულიანა ოსმან ფაშა თავდგირიძემ ფაშა ამ სოფლების ახლოს იდგა და მიტომ დიდი გავლენა ჰქონდა მათზედ. ორივ ამ სოფლებში ძველი

*) იხ. „ივერია“ № 75.

---

რილს პატარძლებს სოფლის ბოლოს ვენახებში ცერცვ-სამარხვ-ლობიოს მოსაკრებად. ბედნიერი იყო, ბედნიერი ამ დროს მიხა დალაქი! დღეს მას ჰქონდა ჩაბარებული მთელის სოფლის მანდილოსანთა პატიოსნება, დღეს იგი იყო გმირთა გმირი, რომელიც ვინიცობაა შემთხვევას მოეტანა, უნდა გაჰკლავებოდა ამოწვდილის სამართებლით მარტოდ... ვის? თვითონაც არ იცოდა ვის!

„მიხა დალაქს გაუმარჯოს“! აძლევენ სალამს გამვლელ-გამომვლელნი მანდილოსანთა ბელადს. მიხა ჯერ მარცხენა თვალის ქუთუთოს აათამაშებს სიამოვნების ნიშნად, მერე მარჯვენა თვალით გადახედავს მათ ისეთნაირად, თითქოს ეუბნება: „ჰა, ცოტა განზედ დამცილდით, ხომ ჰხედავთ ვის მოვუძღვები—თორემ...“ ბოლოს ჩაახველებს და დაატანს ზედ თავ-გაზვიადებული: „გაგიმარჯოს''. დღეობა-ქორწილებში რომ გენახათ, ხომ სწორედ დიაგორის მდგომარეობში იყო. მიწაზედ ფეხს არ დააკარებინებდნენ ახალგაზდა ბიჭები, სულ ხელიდგან ხელში გადაჰყავდათ ობოლი მარგალიტივით. მღვდლის მერე სუფრაზედ ალაგი იმას ეჭირა. მღვდლის მერე კერძს მას მიართმევდნენ, ძალიან დაახლოვებული და შეხუმრებულიც იყო მიხა დალაქი მღვდელთან. აბა მას აქედ რამდენი ხანია და წიოდელებს ეხლაც ახსოვთ, ერთხელ აღდგომის დღეს რომ ასე უთხრა მღვდელს: ,,ნეტა, მამაო ი ხენწიფე იმპერატორმა იმითანა უკაზი-კი გამოცეს, რომა ღვდლებმა დღეის ამას იქით თავი და წვერი უნდა იკრიჭონო''. ,,მერე შენ რა“? ჰკითხა მღვდელმა. ,,ისა მამაო, რომ —მიუგო მიხა დალაქმა, ე თქვენ რომ სხვასა ჰკრეჭამთ, ერთი მეც მენახა თქვენი ნაკრეჭას გემო''. დაჰკრა ხალხმა ტაში და დაიწყო ხარხარი.

მარტო ლხინსა და წვრილმანს საქმეებში-კი არ იღებდა მიხა მონაწილეობას. არა, ის ჭირშიაც ყველას მამიდა იყო და ყველას ჭირისუფალი. აგერ სოფლის სასაფლავო მოფენილია ხალხით და თვით საფლავები ტაბლებით. მიხა დალაქიც აქ გახლავთ. ხან ერთს საფლავთან მივა და დაიზუზუნებს, ხან მეორესთან, თანაც ლურჯი ხელსახოცით თვალებს იწმენდავს... არ-კი გეგონოთ, ვითომც ფლიდობით მოსდიოდა ეს მიხას. არა, მიხა დალაქი და ფლიდობა!?. მართალია უნდოდა დაენახვებია ტაბლის პატრონისთვის „ჰა, მეც აქა ვარ, გარიგებაში ჩემს წილს ნუ დამაკლებთო'', მაგრამ ისიც სწორეა, რომ მიხა დალაქს მართლაც გული შესტკიოდა მიცვალებულისადმი. ზაფხულში, როდესაც კაცის ჭაჭანება არ იყო წიოდაში, სიცოცხლითვე გამოტირებული ბებრუხანები დაუმარხავნი დარჩებოდნენ, თუ მიხა დალაქი არ იქნებოდა. იგი მეწისქვილე ბეროს შემწეობით გასთხრიდა ყოვლად-წმიდის ფერდაში საფლავს, შეუკვეთდა კუბოს, მოიწვევდა მღვდელს და დიდის თავში ცემით, მოთქმითა და მოძახილით მიაბარებდა მიცვალებულს შავს მიწას. მეწისქვილე ბეროსთან ძმად იყო გაფიცული. პატარაობაში, როდესაც ჯერ ისევ კოჭაობასა თამაშობდა, ბეროსა და იმას მოეწონათ ერთმანეთი და „წამწამი დანაყეს'' ძმობის ნიშნად. მას აქეთ არ უღალატნიათ ერთმანეთისთვის. სულითა და გულით უყვარდა მიხას ბერო და ბეროს მიხა დალაქი. ერთს დღეს რომ არ ჩასულიყო მიხა წისქვილში, ბერო მას საყვედურით აავსებდა: ,,რა არის კაცო-და, დამივიწყე-და, აღარ მამხედე-და, იქნება ვკვდებოდი და არ უნდა მომხედო“?... სადა მაქვს მოცლა, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ თავბრუ მეხვევა საქმისაგან; იქით მიდექ, აქეთ მოდექ, იქ წადი, აქ წამოდი და მეტი დღეც აღარ არი, ხო იცი, ერთი სოფელია და მე“ უპასუხებდა მიხა ფქვილისაგან ჯხნიანათ გათეთრებულს ბეროს. მერე დასხდებოდნენ წისქვილ წინ, მოიგონებდნენ თავიანთს წარსულს, გამოიტირებდნენ თავიანთს ჯეელ ბიჭობას, აქედამ გადავიდოდნენ იმაზედ, თუ ამ წელს კალოობა როდის გათავდება, რამდენი ქორწილი იქმნება ამ შემოდგომაზედ იმათ სოფელში, რამდენი დასამარხი ეყოლებათ ამ ზაფხულს; მეტადრე ამ უკანასკნელში თავის დღეში არ მოტყუვდებოდნენ. სულ თითებზედ ჩამოგითვლიდნენ, რამდენს, ან ვის ბებერს აქვს სიკვდილის დრო. აქ მიხას რაღაც მოგონდებოდა ცრემლებით აევსებოდა თვალები. „ჰე, დაგელოცა ღმერთო სამართალი, ასის წლის ბებრები ცოცხლები არიან და ჩემი თინანი კი გვირგვინ ქვეშ გამომაცალე.“ იტყოდა ამას და მოჰყვებოდა ქვითინს. განსატირელი არა ჰქონდა. მისი თინანი, მისი მშვენიერი თინანი, ბეროს ნათლი-დედა! ამოუჯდებოდა ბეროსაც გული და სლუყ-სლუყებდა. დიაღ, მიხას ერთს დროში მეუღლე ჰყავდა და სიკვდილმა „გვირგვინ ქვეშ გამოაცალა, თუმცა ამაში სტყუოდა მიხა დალაქი, გვირგვინს ქვეშ-კი არაა სწორედ თხუთმეტი წელიწადი ეწვოდა გურგენიანთ თინანი ხეტელაანთ

ეკკლესიებიც მდგარა, მაგრამ 1850 წლებში დაუქცევიათ. აქაურის ქართველ მაჰმადიანის ლეზგი მახაცკაძის სიტყვით აქ დიდხანს იმაგრა ხალხმა თავი ქრისტიანობისთვისაო. მახაცკაძეს ახსოვს, რომ აქ ხალხნი ჩუმად ქრისტიანობდნენო.

43, დერე ხოხნა. 66 კომლი. გადასახლდა 10 კომლი. ამ სოფლის მთაზედ დღევანდლამდე სდგას მოზრდილი ეკკლესიის ნანგრევი. ამ ეკკლესიის ახლოს ახლა ხან ამ სოფლის ჯამე გააკეთეს. ჯამეს გვერდით ხოჯას სასწავლებელი აქვს. 60 მეტი ქართველი ბავშვები სწავლობენ. აქ ასწავლიან მარტო თათრულს. ბავშვებს ძლიერ უჭირდებათ სწავლა უცხო ენაზედ. მასწავლებლად სტამბოლში ნასწავლი ხოჯა ალი ეფენდი მახაცკაძეა. საკვირველი ოხუნჯი, არც ფანატიკი, არც ქართველთ მოძულე და არც ქართულის წერა კითხვისა. ეს ამბობს ჩვენ გურჯები ვართ, ქართული წერა-კითხვაც უნდა ვისწავლოთო. ამ სოფელში სცხოვრობენ მიქელაძეები, ძველად გურიიდგან მოსულნი. მერე თევდორ ოღლად წოდებულნი, რადგანაც პირველად თევდორე მიქელაძე გათათრებულა; მაგრამ დღეს ესენი ისევ თავიანთ გვარით იწოდებიან, არ უნდათ ძველის გვარის დაკარგვა.

44, ბზუბზო. 33 კომლი. გადასახლდა 30 კომლი. ძველათ გამოჩენილი სოფელი იყო. აქ არის ვრცელი ეკკლესიის ნანგრევი. საძირკველის ახლო ერთის გვირაბის ჩასავალია, რამდენსამე ნაბიჯს შემდეგ გვირაბს სხვა გზებიც უჩანს. აქ ამბობენ, რომ ბზუბზო მალე გათათრდაო. პირველად ამ სოფლის მებატონე ბოლქვაძეები გათათრდნენ და ყარა-ალიშვილებიო. აქ ამათი ქორწილი ვნახე, ნამდვილ ქართულებრ მაყრები, სიმღერა, თოფის სროლა და სხვანი, სულ ქართულებრ. სიტყვა თათრული აქ მე არ გამიგია.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ევროპის გაზეთები ფიქრობენ, რომ ჩინეთ-იაპონიის მორიგების პირობანი საბოლოოდ არ უნდა ჩაითვალონ. შესაძლებელია—ევროპის სახელმწიფოთა ძალდატანებით ხელახლად განიხილონ ზავის პირობანიო. გაზეთებს ძალიან ჰსურთ გაიგონ—რას აპირებს რუსეთი. „ფრანკფურტის გაზეთს“ ამის შესახებ პეტერბურგიდგან სწერენ შემდეგს:

„აქ დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთისა და რუსეთის შორის უკვე შეკრა პირობა საერთო მოქმედებისა შორეულის აღმოსავლეთის საქმეების გამო. ჯერ-ჯერობით ამ ორ სახელმწიფოთა მთავრობანი მიჰმართავენ სხვა სახელმწიფოებს და სთხოვენ დახმარებას. ორივე სახელმწიფოს იმედი აქვს დაიყოლიონ სხვები და ერთად მოითხოვონ იაპონიისაგან ზავის პირობების ხელ-მეორედ განხილვა, მხოლოდ ინგლისის იმედი არა აქვთ არც რუსეთისა და არც საფრანგეთის მთავრობასაო“.

„Hamburger Correspondent“-ის სიტყვით რუსეთი არასოდეს არ დასთანხმდება, რომ იაპონიამ მიითვისოს ჩინეთის ტერრიტორიის ნაწილი. თუ დიპლომატიის საშუალებით ვერას გააწყობს, მაშინ უფრო ენერგიულს გზას დაადგებაო.

„რუსის ჯარის რიცხვი, განაგრძობს გაზეთი, თან-და-თან მატულობს კორეს საზღვარზედ; ამბობენ, რომ რუსეთის გემები ხმელთა შუა ზღვაზედ მიდიან აღმოსავლეთისაკენ, რათა შეუერთდნენ წყნარის ოკეანეს ფლოტს. საფრანგეთი ძალიან მეცადინეობს და უოკეანისფერში ხელს უწყობს რუსეთსაო“.

საფრანგეთის გაზეთები არ არიან კმაყოფილნი ჩინეთ-იაპონიის მორიგების პირობებით და ამხნევებენ მთავრობას—რუსეთს ენერგიული დახმარება აღმოუჩინეო. რაც შეეხება ინგლისის მთავრობას, გაზეთები გადაჭრილს არას ამბობენ. „Central News“-ის არით, ინგლისი ჩაფიქრა მორიგების პირობათა მხოლოდ ერთმა მუხლმაო: ვერ გაუგიათ—რას მოასწავებს ჩინეთ-იაპონიის შეკავშირებაო!

—

ბერლინის გაზეთებში უცნაური ამბავია მოთხრობილი. რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ავსტრიის ერცჰერცოგი იოჰან სალვატორი გაემგზავრა ამერიკისაკენ, სადაც ჰსურდა სამუდამოდ დასახლება. ცოტა ხნის შემდეგ ხმა გავრცელდა, რომ სალვატორი სადღაც გაჰქრა, მისი გზაკვალი სრულიად დაიკარგა. ზოგი ამბობდა, სალვატორი თავისის გემით ზღვაში დაიღუპაო, ზოგი ამტკიცებდა—ერცჰერცოგმა განგებ გაავრცელებინა ხმები თავისს დაღუპვის შესახებ, რადგანაც ჰსურდა სრულიად ახალი ცხოვრება დაეწყოო. ახლა ბერლინის გაზეთები ამბობენ, რომ მარშალი იამაგატა, ეს შესანიშნავი იაპონიის სარდალი, რომელმაც ასე ასახელა უკანასკნელს ომში იაპონიის ფლოტი—იოჰან სალვატორი არისო.

„ამას ამტკიცებსო, სწერენ გაზეთები, შემდეგი გარემოებანი: ის წესი, რომლითაც ხელმძღვანელობდა იაპონიის ფლოტი, სწორედ ის წესრიგია, რომელსაც ჰქადაგებდა სალვატორიო; იაპონიაში არასოდეს არ უთქვამთ თავად იამაგატას გვარეულობაო; ამას წინად ამბობდნენ აგრეთვე, რომ ერცჰერცოგი სალვატორი არგენტინის რესპუბლიკაში სცხოვრობდა და შემდეგ იაპონიაში წავიდაო“.

—

ბ-ნი ფარესოვი თავისს წერილში, რომელიც „ისტორიჩ. ვესტნ.“-შია დაბეჭდილი და რუსების განსვენებულ მწერლის ნ. ს. ლესკოვის ხსოვნას უძღვნა, სხვათა შორის, შემდეგს გვიამბობს იმის შესახებ, თუ რა აზრისა იყო განსვენებული მწერალი ლ. ტოლსტოიზედ.

„ტოლსტოის შესახებაო, ამბობს ლესკოვი, სულ სხვა ენით და სხვა გვარად უნდა ვილაპარაკოთო. ჩვენ არ გვინდა, რომ მას ნამდვილი სახელი დავუმახსოვროთ და იგი-კი სწორედ ბრძენია. ეპიკტეტი და სოკრატი, აი ვინ არიან მისი მსგავსნი; ჩვენ კი ლექსებსა და ფელეტონებსა ვსწერთ იმის შესახებ. როგორი წარმტაცი საზოგადოებაა! მისის სიკვდილის შემდეგ უდაბნო შეიქმნება. აი, მაშინ დავაფასებთ მას. ამბობენ, რომ ვითომც მე იმას ვბაძავდე. სრულიადაც არა! როდესაც ტოლსტოი „ანნა კარენინას“ სწერდა, მაშინ მე სწორედ იმ აზრს ვადგებოდი, რომელსაც ეხლა ვადგევარ და დავსწერე «Соборяне» და „Запечатлѣнный ангелъ“. მე იმის გამორკვევას შევუდექი, რის გამორკვევასაც შემდეგში ტოლსტოი დაადგა. მაგრამ იმას უფრო ნათელი ახლავს თანა. მას ხელში დიდი ლამპარი უჭირავს და მე-კი პატარა ჭრაქი. მე მას მივდევ უკან. განა ეს ცუდია, რომ სიბერის დროს წმიდა ცხოვრებაზედ დავიწყოთ ლაპარაკი? საბრალოა ის მხარე, რომელსაც ისეთი მოხუცებულები არა ჰყავს, რომლისაგანაც ახალგაზრდობა ჭკუას არ სწავლობს. მე ვლოთობდი, პაპიროსს ვწევდი, გარყვნილს ცხოვრებას მივსდევდი, ახლა-კი ყველა ამას თავი დავანებე და სხვასაც ვურჩევ თავი დაანებოს. მე მოხარული ვარ, რომ ტოლსტოის მივსდევ, წარსულიდგან ხელი ავიღე და ჩემს თავთან სასიყვარულო ალაგი მაქვს-რა“.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გლადსტონის სიტყვა. გლადსტონის სიტყვა ისეთი იშვიათი გახდა, რომ ამ დღეებში მისგან წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა ქალაქ გრავადენში ინგლისის გაზეთებს მოჰყავთ, როგორც დიდი რამ მოვლენა აწინდელს ცხოვრებაში. რამდენიმე ლიბერალთა კლუბიდგან წარმოგზავნილმა დეპუტაციამ მიართვა გლადსტონს 300 ცალი წიგნი მშვენიერის მუხის ყუთით. გლადსტონმა მადლობა გადაუხადა და, სხვათა შორის, უთხრა, რომ თუმცა საზოგადო მოღვაწეობაზედ ოფიციალურად უარი გამიცხადე, მაგრამ მაინც დიდად მაინტერესებს ჩვენი ყოველ-დღიური ცხოვრებაო.

„ბატონებო, სთქვა გლადსტონმა, მე მრწამს ჩვენის ხალხის ბრწყინვალე მომავალი. იმედი მაქვს, რომ ძვირფასი თვისებანი ჩვენის ერისა, რომელმაც ამისთანა საპატიო ადგილი მოუპოვა მას, კვლავაც თავს იჩენენ. პირველად შეგვიძლიან სთქვათ, რომ აწი მთელი ერი გამოვიდა საპოლიტიკო ასპარეზზედ სამოქმედოთ. უკანასკნელ ათ წლამდის მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენელთა ხელში იყო მთელი ძალა, უზომოდ სარგებლობდნენ ისინი ამ უფლებით. მე ვამბობ, რასაკვირველია, იურიდიულ ძალაზედ. მე მგონი თვით გულმხურვალე თაყვანის-მცემლები უწინდელის წეს-წყობილებისა ვერ იტყვიან, რომ ისინი თავისს უფლებას ყოველთვის კეთილად ხმარობდნენ“. გლადსტონის აზრით, შეცდომები და არა კეთილ-სინიდისიერი მოქმედება უწინდელის გამგეობისა, მიზეზია ადამიანის ბუნების თვისებისა. ეს თვისება არის ადამიანის მისწრაფება უფლების მოსაპოვებლად. ახლა წრე სახელმწიფოს მმართველებისა გაფართოვდა, ახლა ხანაა ამ ახალის ელემენტების გამოცდისაო.

„მე დიდი იმედი მაქვს, განაგრძობს გლადსტონი, რომ ამ გამოცდას მამაცურად დაუხვდებიან ისინი: მე დიდად ვსიამოვნებ, როდესაც შევიტყობ ხოლმე, რომ მუშები კარგად სარგებლობენ მათდა მინიჭებულის უფლებით. ეს იმითა სჩანს, რომ ისინი ღირსეულს წარმომადგენლებს ირჩევენ. მუშათა დეპუტაციები საუცხოვოდ მოქმედებენ, ეს პატივსა სდებთ მათ, ვისი წარმომადგენლებიც ისინი არიან და ვინც ამოირჩია ისინი ქვემო პალატის შემადგენელთა შორის“. (ტაშის ცემა).

ამის გამო გაზეთი „Daily News“ შენიშნავს, რომ ინგლისში საერო წარმომადგენლობის გასაძლიერებლად საჭიროა რეფორმები: შეიცვალოს ხმოსნობა, გაუკეთესდეს ამომრჩევლობითი წეს-რიგი და სხვა...

## უცხოეთის წვრილი ამბები.

—

ერთს მოცლილს ინგლისელს გამოუანგარიშნია შემდეგი: ვსთქვათ რომ ერთი კაპეიკი შეეტანა ბანკში, სარგებლის მიღებით ზრდილი თანხა იქამდის მიაღწევდა, რომ ახლა თითო კაცს მანეთიანების იმოდენა რიცხვი ერგებოდა, რომ ეს რიცხვი შესდგებოდა 140 ციფრით; მხოლოდ ქრისტეს დაბადებასთანავე რომ ვინმეს ოთხი კაპეიკი შეეტანა ბანკში, აი, რა აუარებელი კაპიტალი შესდგებოდა: ეს კაპიტალი ოქროდ რომ წარმოედგინათ, ამ ოქროდგან დედამიწისთანა იმდენი ბურთები გაკეთდებოდა, რომ თითოეულს ჩვენგანს ერგებოდა 12 და 1/2 ბურთი!.. გაუტაცებულს სარგებლის გასაოცარის ძალით, წელს იმავე ინგლისელს შეუტანია თურმე ბანკში ოთხი კაპეიკი (ერთი პენსი) და ის თანხა, რომელიც ამ პენსისაგან შესდგება 2895 წლამდის, უანდერძებია ყველა იმათთვის, ვინც მაშინ ცოცხალი იქნება. ადამიანთა რიცხვი დაახლოვებით ათასის წლის შემდეგ 22 მილიარდი სული იქნება,

---

მიხასთან უღელს; მაგრამ ყველაფრის გაზიარება უყვარდა მიხას. ეხლაც ისე არ გადაივლის ყველა-წმიდის ფერდაზედ, რომ არ ჩასძახოს თინანის საფლავს: „ადამიანო, რად დამობლე, რად დამისხი ცეცხლზედ წყალიო.“ ეჰ ნეტა იმ დროს, როდესაც მიხა დალაქი თინანის შეჰღირღიტებდა. რა ბიჭი იყო მაშინ, რა ბიჭი! თავზედ მამალს ბუზს არ ისომდა. კოხტა, ახლა როგორი კოხტა! ხანდის-ხან დარდიმანდობაში თავსა სდებდა, თუმცა ღვთის წინაშე მიხას დარდიმანდობისა არა ეტყობოდა-რა. „შავის გოგოსთვის ამიტოკებია გული“, ეხლაც იტყოდა ხოლმე მიხა დალაქი ჯეელ-ბიჭებში. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, ხოლო ისკი ვიცი, რომ გოგოები მიხას „გირვანქას“ ეძახოდნენ“ მეტ სახელად. და ხანდის ხან ფანტაზიით მორთულს თავ გადასავალს რომ მოჰყვებოდა ჯეელებში, უცებ მოაგონდებოდა ეს გულ-საკლავი სიტყვა „გირვანქა“, გასწყვეტამდა ლაპარაკს ბალმური ადინებოდა სახეზე, თითქოს ქურდობაში დაიჭირესო. ამ უკანასკნელს დროს მიხას კვლავ აუფუნდრუკდა გული. ტატალაანთ სოფიოს შერთვა მოინდომა. ბერო მაჰანკალი იყო. საქმე საქმეზედ იყო მიმდგარი, მაგრამ... მაგრამ... ეჰ, ნეტავი ეს კი არ მოაგონდებოდეს და! ეხლაც სირცხვილით იწვის. მთელი სოფელი აყაყანდა, ქალები საცა-კი დაინახავდნენ მიხას, რომ არ გაეცინათ არ შეიძლებოდა. ბიჭებმა შაირიც-კი გამოუთქვეს და წიოდას დარბაისელნი ყურ-ში ისმენდნენ. „გაგიჟდა, სამოცის წლის კაცი ცოლს ირთამსო.“ ერთის სიტყვით ძალიან აწყენინა მიხას სოფელმა; თუმცა განზრახვაზედ ხელი აიღებინეს, მაგრამ მთელი ორი თვე გულხელდაკრებილი, იმისთანა მწუხარე სახით დადიოდა, რომ თითქოს შეურთავს ორმოც-და-ათის წლის ტატალაანთ სოფიო, ახლა მოუკვდა და იმას გლოვობსო. „ჰე, თუნდა შამერთო, მე ის თინათინობას ვერ მიხამდაო,“ დაატანდა ხოლმე მიხა, როდესაც თავის სიყრმის მეგობარს ბეროსთან ერთად გამოიტირებდა კარგა ხანია გარდაცვალებულს თინანის. მერე ხმელის პურით და ცივი წყლით გაიგრილებდნენ გულს და გამოემშვიდებოდნენ ერთმანეთს. ნახევარ საათის შემდეგ ამოჰყოფდა მიხა თავს ისევ წიოდაში. ასე და ამ გვარად მიგოგავდა მისი ცხოვრება. ბედნიერი იყო მიხა დალაქი, იგი მთელს წიოდას უყვარდა და ბედნიერი იყო წიოდა, იგი მიხა დალაქს უყვარდა, მაგრამ ერთს ზამთარს მთელს წიოდას თავზარი დაეცა. აღარ ჰყავნდათ მიხა დალაქი! იგი საუკუნოდ გამოემშვიდობა წიოდას და თავის თინანისთან წავიდა წიაღსა შინა აბრაამისასა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი: შობის წინა დღეებში მიხა როგორღაც ხაზმუხიანობდა, ამბობდა მქვალი მადგაო. წიოდელებს ცოტა არ იყოს არა სჯეროდათ, რადგანაც მიხამ ხან-და-ხან გაზნებივრება იცოდა. ყველანი ბედნიერის დღის მოლოდინში იყვნენ, ემზადებოდნენ, მხიარულად შეჰგებებოდნენ შობას. ამ ფაცი-ფუცში იგი არავის გაჰხსენებია. თურმე ამ დროს საწყალი მიხა-კი თავისს პატარა ქოხში, რომელიც სოფელზედ ცოტა მოშორებით იდგა, სიკვდილს ებრძოდა, და როდესაც ბერომ კარები შეაჭრიალა, რათა თავისი მეგობარი ხვალისთვის გოჭის თავზედ დაჰპატიჟოს, რა წარმოუდგა მის თვალებს! მიხას ფეხები თავთან მიუტანია, მოკრუნჩხულა ჭიტიგორგალივით და განუტევებია სული. ბერომ კარგა ხანი უცადა გაშტერებული. მერმე ხელი შეახო და ისეთი დაიღრიალა, რომ ქოხის ჭერმა ზანზარი დაიწყო. ერთს წუთს მთელს წიოდაში ელვასავით გავარდა ხმა: მიხა დალაქი აღარა გვყავსო! რიგისა გამოდიოდა მიხას სახლიდამ რიგისა შედიოდა, რათა მისი ობოლი გვამისთვის ცრემლი დაეფრქვიათ. ბეროკი ერთს წუთსაც არ მოჰშორებია მიცვალებულს. პირველი ჭირისუფალი ის იყო უნათესავო მიხასი და მას მიუტირებდნენ ხოლმე. დამარხეს მიხა სოფლის ხარჯზედ. ან ვინ რას დაიშურებდა მისთვის; თავისი დღენი წიოდელების სამსახურში დალია მან უსასყიდლოდ, დამარხეს იგი თინანის გვერდზედ. ეს ბერომ მოიწადინა, გულ-უბრყვილო ბერომ, რომელმაც უკანასკნელად ჩასძახა საყვარელს მეგობარს საფლავში: „გრცხვენოდეს, მიხავ, რომ არ შემატყობინე, როცა ჰკვდებოდიო“; საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი მიხა დალაქო. მე ამას ოცის წლის ამბავს მოგახსენებთ. დიაღ, მას აქეთ ოცი წელიწადი გავიდა, მაგრამ წიოდელებს ჯერაც არ დაჰვიწყებიათ საყვარელი მიხა დალაქი. ეხლაც მანდილოსნები ისე არ ახსენებენ მას, რომ არ დაიზუზუნონ ნახევარ სიმღერის ნახევარ ტირილის ხმაზედ, ისე, როგორც ძველ მკვდრებზედ ტირიან ხოლმე. მამაკაცნიც, რომელთაც კარგა ხანია მოუმთელდათ ნიკაპზედ მიხას სამართებლის ღრმად გატანილი კვალი, ხშირად იგონებენ მას სინანულით და ზედაც დაატნენ: „ჰე, იმისთანა დალაქი „ჰეჩ-და ოლმასო“!

ი. ევდოშვილი.

ასე რომ ინგლისელის ნასანდერმეკიდგან თითოეულს 290 მილიონი მანეთი შეჰხვდება.

—

იტალიელი დეპუტატი და მინისტრად ნამყოფი ზენარდინო გრიმალდი საოცარის ნიჭის პატრონია: მას შეუძლიან ერთს წუთში 180 — 200 სიტყვა სთქვას.

## წერილი რედაქციის მიმართ.

რადგან ზოგს, როგორც შევიტყე, თურმე „რუს იმერელი“ მე ვგონებივარ, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, გამოვაცხადო თქვენის გაზეთის საშუალებით, რომ ეს პატივცემული ჰსეუდონიმი სხვისი კუთვნილებაა და არა ჩემი.

გრ. ვოლსკი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 აპრილი.

**პეტერბურგი**. ვოლინის გუბერნატორის მოხსენებაზედ იმის შესახებ, რომ სკოლა უნდა ეცადოს მოწაფეებს პირველის დღიდან ნამდვილად რუსული აზრები ჩაუნერგოს, ამავე მოწაფეების საშუალებით მათ მშობლებზედაც უნდა იქონიოს კეთილი გავლენაო. ამ მოხსენებაზედ ხელმწიფემ შემდეგი განაჩენი წააწერა: «სრულიად მართალია». ამგვარივე რეზოლუცია იქნა წარწერილ ტურგაის გუბერნატორის მოხსენებაზედ, იმის შესახებ, რომ კირგიზებისათვის რუსული სკოლები უნდა იქნას დაარსებულიო.

„სვეტი“ ამბობს, რომ ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა აღუკრძალა ფინლანდიის სკოლების მასწავლებელთ, რათა დაესწრნენ შვეციის სკოლების კრებაზედ, სადაც ისინი მიწვეულნი იყვნენ.

«ნოვოსტებს» ატყობინებენ ოდესიდან, რომ იქ პურის ვაჭრობა საკვირვლად გაცხოველდა. ფასმა იმატა.

**ბერლინი**. მრავალგან გერმანიაში თოვლმა დიდად დააზიანა დათესილი ყანები.

**ლონდონი**. «Daily News» ჰფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობა არ შეუერთდება იმ აზრს, რომ იაპონიას შეუშალოს ხელი, რათა ამ ქვეყანამ ისარგებლოს თვისის გამარჯვების ნაყოფითა. ინგლისის მინისტრები სცდილობდნენ ომი არ ატეხილიყო, ხოლო ახლა ისინი არ ჰფიქრობენ, რომ ბრიტანიის ინტერესებისათვის ჩინეთ-იაპონიის მორიგება საზარალო იყოს.

ტოკიოდან იუწყებიან, რომ რუსეთისა, საფრანგეთის და გერმანიის ელჩებმა განუცხადეს იაპონიის მთავრობას, რათა ჩინეთს მიწებს ნუ ჩამოართმევთ, თორემ წინააღმდეგი შევიქნებითო.

## ქართველ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტი *).

I. საზოგადოების საგანი.

1. საზოგადოებას საგნად აქვს დახმარება აღმოუჩინოს უმაღლეს სასწავლებელთა ორივე სქესის ქართველ მოსწავლეთ.

2. საზოგადოების მმართველობა ტფილისში იმყოფება.

3. საზოგადოება შემდეგის წესით უწევს დახმარებას:

ა) აძლევს ფულს ერთჯერ ან უნიშნავს სტიპენდიას ვალიან ან უვალო სესხით.

შენიშვნა: ზოგიერთს საგანგებო შემთხვევაში ნასესხი ფული არასოდეს არ გამოერთმევათ მსესხებელთ.

ბ) იძლევა სტიპენდიას ერთის წლის განმავლობაში სწავლის გათავების შემდეგაც.

II. საზოგადოება.

4. საზოგადოება შესდგება ორივე სქესისა და ყოველ წოდების პირთაგან, მოსწავლეთა გარდა.

6. საზოგადოებას შეადგენენ შემდეგნი:

ა) საპატიო წევრნი, რომლებადაც აირჩევიან ისინი, ვინც 2,000 მანეთს შესწირავს საზოგადოებას, ან ისინი, ვინც ყოველ წლობით 150 მანეთზედ ნაკლებს არ გადიხდიან და აგრეთვე ისინი, ვინც საზოგადოების წევრნი არ არიან, მაგრამ საზოგადოება ღირსად სცნობს მათს საპატიო წევრებად ჩარიცხვას.

ბ) დამფუძნებელნი, რომელთაც პირველ წელს შეაქვთ არა ნაკლებ 50 მანეთისა და შემდეგ ყოველ წელს 20 მანეთი.

გ) ნამდვილნი წევრნი, რომელთაც ან ერთბაშად შემოაქვთ არა ნაკლებ 100 მანეთისა, ან ყოველ წლობით არა ნაკლებ ხუთის მანეთისა.

დ) თანამშრომელნი წევრნი, რომელთ მოვალეობაც იქნება საზოგადოებისთვის სასარგებლო პირადი შრომა იკისრონ.

III საზოგადოების საშუალება.

7. საზოგადოების საშუალებას შეადგენს:

ა) საწევრო გარჯასახადი ერთ დროებითი და მუდმივი,

ბ) შემოწირული უძრავ-მოძრავი ქონება,

გ) დაბრუნებული სესხი,

დ) თანხის სარგებელი და საზოგადოების სხვა-და-სხვა შემოსავალი,

ე) გამართულ კონცერტების, საღამოების, წარმოდგენებისა და სხვათა შემოსავალი.

—

10) საზოგადოების საქმეებს მართავს გამგეობა და საზოგადო კრება.

—

38) ყოველგვარ სტიპენდიის მთხოვნელმა უნდა წარუდგინოს გამგეობას მოწმობა საზოგადოების ხუთის წევრისაგან ხელმოწერილი იმის შესამოწმებლად, რომ მთხოვნელს მართლა სჭირია დახმარება.

40) თითო სტიპენდია ყოველ წლივ 400 მანეთს არ უნდა აღემატოს.

41) სწავლის დამთავრების შემდეგ, ვინც სტიპენდიით სარგებლობდა, ყოველ წლივ უხდის საზოგადოებას თავის შემოსავლის 10 %-ზედ არა ნაკლებს, სანამდის ვალს სრულიად არ გადაიხდის.

*) ეს წესდება შედგენილია ქართველ სტუდენტების-მიერ; აქ შემოკლებით იბეჭდება. რედ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ქქ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ф. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

## საქართველოს კალენდარი 1895 წ.

წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით, ფასი 50 კაპ.

## უბის წიგნი 1895 წ.

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

## საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული, ფასი 10 კაპ.

## სახალხო კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული, ფასი 5 კაპ.

## ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სახალხო გამოცემა, ფასი 15 კაპ.

## ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები

## ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ იქონიოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირე (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერავ, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ზოგლობით ისყიდება კავკასიის საოფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, ახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუდაღოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდული, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღის ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—7).

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეუყენებული ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—›)


Дозвено цензурою, Тифлисъ 13-го Апрѣля 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე